


„ნამახვანი ჰესის მშენებლობა წყალტუბოს განვითარების გეგმას ჩააგდება“

 commerzant.ge/ge/post/namaxvani-hesis-mshenebloba-wyaltubos-ganvitarebis-gegmas-chaagdebs



„როდესაც ქვეყანაში ისეთი პროექტების მშენებლობა გრძელდება, რომელიც გარემოს აზარალებს, ჩნდება ეჭვი, რომ მსგავსი დიდი პროექტების მეშვეობით ქვეყანაში ფული თეთრდება“- ამის შესახებ „კომერსანტს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორმა ირაკლი მაჭარაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, წყალტუბოს განვითარებას შეიძლება ასეთ საკითხად მივიჩნიოთ თუ წინასწარ არ იქნა მისი დადებითი და უარყოფითი შედეგები ცნობილი.

მაჭარაშვილი წყალტუბოში „ნამახვან ჰესის“ მშენებლობას ეხმაურება და აცხადებს, რომ ჰესის მშენებლობა წყალტუბოს განვითარების გეგმას ჩააგდება. როგორც მაჭარაშვილი განმარტავს, თუ **ინვესტორს არ აქვს ნათელი სურათი იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ერთი პროექტი არ ანადგურებს მეორე პროექტს, გაუჭირდება ფულის ჩადება და პროექტი მხოლოდ განაცხადად დარჩება.**

„დამტკიცებული პროექტის მიხედვით, გარემოზე ზედამხედველობის ანგარიშში წერია, რომ „ნამახვანი ჰესის“ მშენებლობის ბრძანების გაცემისას არ იყო ბოლომდე შესწავლილი გეოლოგიის საკითხები. წყალტუბო არის კარსტული მღვიმეების ადგილი და დიდია ალბათობა, რომ წყალსაცავის შემდეგ დაზიანდეს მღვიმეები. ასევე არ არის შესწავლილი, ჰესის დაზიანება რა გავლენას მოახდენს წყალტუბოს თერმულ წყლებზე. გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არც ამ შემთხვევაში არღვევს „ტრადიციას“ და ჰაერზე ამტკიცებს პროექტებს, ამის ნათელი მაგალითია, შუახვევი ჰესის პროექტი, სადაც არ იყო

გეოლოგიური საკითხები შესწავლილი და დაინყეს მშენებლობა. როდესაც ჩვენ გამოვთქვით პროტესტი, მაშინდელმა ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ასეთი პასუხი გაგვცა- 400 მლნ. ინვესტიციას ვერ შევანერებთ, იმის გამო რომ გეოლოგია არ არის შესწავლილი. შედეგად, მივიღეთ ის, რომ ამუშავებიდან 2 თვეში შუახვევკესი ჩამოინგრა და ორი წელია არ მუშაობს. იმ ბარალზე, რაც უწყებას და ბუნებას მიადგა საუბარიც არ მინდა, რადგან ასეულ მილიონს სცდება,- განაცხადა ირაკლიმაჭარაშვილმა.

მისი განმარტებით, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლები ჰესების აშენებას არ აპროტესტებენ. მათი თქმით, ჰესის სწორად აშენებასა და არ აშენებას შორის დიდი განსხვავებაა.ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, საქართველოში ოლონდ ჰესი აშენდეს და რა შედეგი მოჰყვება პროექტის განხორციელებას არავინ ფიქრობს.

„იმისათვის, რომ ორივე პროექტი წარმატებით დასრულდეს ჩვენმა ორგანიზაციამ რამდენიმე წინაპირობა დავასახელებთ, უმთავრესია, რომ სანამ ჰესი აშენდება გეოლოგიური პირობები იქნას საფუძვლიანად შესწავლილი, არის თუ არა ის ადგილი ჰესის შესაბამისი და მეორე, წყალტუბოს განვითარების პროექტს გაუკეთდეს გარემოსდაცვითი შეფასება. როდესაც სახელმწიფო ცდილობს ინვესტორები მოიზიდოს, გარემოს დაცვით შეფასებას თავად აკეთებს, ადგენს იმ ფარგლებს, რა ფარგლებშიც შეიძლება განვითარდეს ესა თუ ის პროექტი და ინვესტორსაც უფრო უადვილდება მუშაობა. სწორედ ამ შეფასების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ რა გავლენას მოახდენს იმავე ტერიტორიაზე სხვა პროექტის მშენებლობა. წყალტუბო კი თავისი თერმული წყლების გარეშე არაფერია, მსგავსი კურორტი მაშინ შეგვიძლია დილომშიც გავაკეთოთ უფრო იაფიც დაგვიჯდება“,- განაცხადა ირაკლი მაჭარაშვილმა.

შეგახსენებთ, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, რადგან სახელმწიფოს არ აქვს რესურსი, მიიღო გადაწყვეტილება სათავეში ჩაუდგეს წყალტუბოს ალორძინების პროექტს და გამოისყიდოს უკლებლივ ყველა - 22 სასტუმრო, 9 აბანო და მოახდინოს მათი სრული რეაბილიტაცია. ამასთან, ივანიშვილის თქმით, წყალტუბოს განვითარების პროექტზე მისი მხრიდან არანაირ მოგებაზე არ იქნება საუბარი და „მაქსიმალური ფასი იქნება თვითღირებულება“. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებით, მზად არის, „პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს დაგეგმარება, პროექტირება, მშენებლობა თუ დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში ჩაშვება, გაასხვისოს ობიექტები ნებისმიერ ინვესტორზე, რათა შემდგომში მან გააგრძელოს წარმატებული ოპერირება“.

რაც შეეხება „ნამახვანი ჰესების კასკადს,ის იმერეთსა და ლეჩხუმში უნდა აშენდეს. პროექტს თურქული კომპანია „ემ კა და ნორვეგიული ჯგუფი „ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯია ახორციელებს. კასკადი აერთიანებს ორ ჰიდროსადგურს, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 433 მგვტ. იქნება. პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოში ელექტროენერჯიის გამომუშავება 15 პროცენტით გაიზრდება. კასკადის მშენებლობისთვის 750 მლნ აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდება.

ნათია ლომიძე

